



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 31

„02“ აპრილი 2015 წელი

შ.პ.ს. „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურისათვის“ მოძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.გ“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის მე-6 ნაწილის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რათა მან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, პირობით, 2 წლის ვადით გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურს“ თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული “MITSUBISHI“-ის ფირმის L200 მოდელის ავტომობილი, სახელმწიფო ნომრით AA – 916 - XX, გამოშვებული 2002 წელს, ღირებულებით 14 400 ლარი.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დ. აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



Handwritten signature

პაატა გიორგობიანი